საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№144 2020 წლის 23 იანვარი ქ. თბილისი

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტისათვის – ქალაქ თბილისში, უ. ჩხეიძის ქ. №33-ში მდებარე საცხოვრებელი სახლისთვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ

1. უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებულ არქიტექტურულ ობიექტს – ქალაქ თბილისში, უ. ჩხეიძის ქ. №33-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) ამ განკარგულების

ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ამავე განკარგულებით გათვალისწინებული ობიექტის მონაცემების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ასახვა.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**

დანართი

	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა
1.		საცხოვრებელი სახლი	ქ. თბილისი, უ. ჩხეიძის ქ.N33 (ს/კ 01.16.05.001.001)	არქიტექტურის/ მემორიალური / ქალაქთმშენებლობის (ურბანული)